საიდუმლოდ.

# სახალხო გვარდიის კანონი და შტატები.

საქართველოს ეროვნული არქივი

# კ ა ნ ო ნ ი

# სახალხო გვარდიისა

დამფუძნებელი კრება, ადასტურებს რა ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ სახალხო გვარდიის დაარ-
ის აქტს, 1918 წლის 2 ივლისის კანონის მუხლთა ნაცვლად აწესებს:

## სახალხო გვარდიის მიზანი:

1. სახალხო გვარდიის მიზანი იგივეა, რაც სახელმწიფოს მთელის შეიარაღებულ ძალისა, — დაცვა
ოკრატიულ რესპუბლიკისა, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

## მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა:

2. სახალხო გვარდიას მართავს მთავარი, საოლქო და სარაიონო შტაბები.

3. სახალხო გვარდიის სათავეში სდგას მთავარი შტაბი, რომელიც შესდგება 21 წევრისაგან; ამათ
ის წლით ირჩევს გვარდიის ყრილობა და ამტკიცებს მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ არ
მტკიცა რომელიმე არჩეულთაგანი ან სხვა მიზეზით გამოაკლდა ვინმე, მთავარ შტაბს უფლება ეძლევა
თ წარუდგინოს მთავრობას თავისი კანდიდატები დასამტკიცებლად.

4. მთავარი შტაბი ემორჩილება პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას მთავრობის თავმჯდომარის
უალებით.

5. მთავრობის კრებებს ესწრება მთავარი შტაბის წარმომადგენელი სათათბირო ხმით.

6. ადგილობრივი გამგებლობა სახალხო გვარდიისა ევალება საოლქო და სარაიონო შტაბებს.

7. სარაიონო შტაბებს ირჩევს ერთის წლით ადგილობრივ რაიონის გვარდიელთა საზოგადო კრება,
ლო საოლქო შტაბს იმავე ვადით წარმომადგენელთა ყრილობა მთელის ოლქის გვარდიელებისა.

8. საოლქო და სარაიონო შტაბის წევრებს, არჩევის შემდეგ, ამტკიცებს მთავარი შტაბი.

9. საოლქო შტაბები უშუამავლოდ ემორჩილებიან მთავარ შტაბს, ხოლო სარაიონო შტაბები საოლ-
შტაბებს და მათის საშუალებით მთავარ შტაბს.

## შედგენილობა და შევსება:

10. სახალხო გვარდია შესდგება: ა) რეზერვისაგან და ბ) მუდმივ ნაწილებისაგან.

11. სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლიან ყველა მსურველს საქართველოს რესპუბლიკის მოქალა-
ეაგან, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკვლო და ერთგული დემოკრა-
ულ რესპუბლიკისა, სახალხო გვარდიაში ჩარიცხვა არავის ანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

12. სახალხო გვარდიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პარტიულ ან ეროვნულ რაზმებს.

13. სახალხო გვარდიაში მოქალაქეთა ჩარიცხვა ხდება გვარდიის შტაბების მიერ; მთავარ შტაბის
რ გამომუშავებულ ინსტრუქციის თანახმად.

14. სახალხო გვარდიის რეზერვს შეადგენს ყველა ჩარიცხული გვარდიელი, რომელიც ირიცხება ადგი-
ბრივ შტაბების სიაში და მოიწვევა მობილიზაციის დროს ადგილობრივ ბატალიონებში, რომელთა კად-
ი არსებობს საერთო შტაბებთან.

15. მუდმივი ნაწილები შესდგება: ა) საგანგებო ქვეითა ბატალიონისაგან, ბ) ცხენოსან დივიზიონისა-
, გ) საარტილერიო ბრიგადისაგან, დ) საგანგებო ტყვიის მფრქვეველთა რაზმისაგან, ე) ჯავშნოსან სა-
ომობილო გუნდისაგან, ვ) ჯავშნიან მატარებლების რაზმისაგან, ზ) საინჟინერო გუნდისაგან და თ) სარე-
ვო ბატალიონების 18 კადრისაგან.

16. მუდმივ ნაწილების შევსება ხდება სამხედრო ბევარისაგან თავისუფალ მოხალისეთა და ჯარში
აწვევთაგან. მოხალისენი იღებენ განსაკუთრებულს ჯილდოს, ხოლო გაწვეულები მსახურობენ იმავე პი-
ბებში, როგორიც მუდმივ ჯარში არსებობს. გაწვეულთა რიცხვი და წესი მათის გვარდიაში მიღებისა
ავდება მთავარ შტაბისა და სამხედრო მინისტრის შეთანხმებით.

17. რეზერვში ჩარიცხული სახალხო გვარდიელები არავითარს ჯილდოს არ იღებენ, ოცდამერვე მუხლ-
აღნიშნულ შემთხვევათა გარდა.

18. ოფიცერთა და ადმინისტრაციის პირთა მიღება — დათხოვნა ან ერთის ადგილიდან მეორეზე გადა-
ნა ხდება მთავარ შტაბის მიერ.

## სახალხო გვარდიელთა უფლება-მოვალეობანი, ჯილდო და პენსია:

19. სახალხო გვარდიის ნაწილებსა, შტაბებსა და დაწესებულებებში მოსამსახურე ოფიცრები და ადმი-
ტრაციის მოხელენი, სარგებლობენ ყველა იმ უფლებითა და უპირატესობით, რაც მიკუთვნებული აქვს
პუბლიკის ჯარში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურთ.

20. სახალხო გვარდიაში ყოველი სამხედრო მსახური (როგორც ოფიცერი, [illegible] ჯარის [illegible]
ედება „სახალხო გვარდიელად".

საქართველოს ეროვნული არქივი

21. სახალხო გვარდიის ნაწილებში სამხედრო ხელმძღვანელები იწოდებიან მხოლოდ და მხოლოდ მათის თანამდებობის მიხედვით, მაგალითად: გუნდის უფროსი, უფროსი ოფიცერი, მწყობრის უფროსი და სხ.

22. ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის სახალხო გვარდიელი შეიძლება დაჯილდოვდეს ჯარისათვის დაწესებულ სამხედრო ნიშნებით, რის შესახებ შუამდგომლობას მთავარი შტაბი უდგენს პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს.

23. ყველა ბრძოლაში ან სამსახურის ასრულების დროს დაჭრილი გვარდიელი და აგრეთვე მოკლულის ნათესავენი დახმარებასა და პენსიას მიიღებენ ჯარისათვის არსებულ საერთო წესით.

24. სამსახურის დროს სახალხო გვარდიელი ემორჩილება სამხედრო დისციპლინის ყველა მოთხოვნილებასა და წესებს.

25. სახალხო გვარდიის ნაწილებსა და შტაბებში მოხამსახურეთა და თანამდებობის პირთა მოვალეობანი განისაზღვრება მთავარ შტაბის საგანგებო ინსტრუქციებით.

## აღრიცხვა და მობილიზაცია:

26. სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გამოიწვევენ ისე, თუ არ მთავარ შტაბის საშუალებით. სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს, თუ თავმჯდომარისათვის შეუძლებელია ამ უფლებით სარგებლობა, სახალხო გვარდია შეიძლება გამოწვეულ იქმნეს საკანონმდებლო დაწესებულების თავმჯდომარის მიერ.

27. განსაკუთრებულ შემთხვევაში სახალხო გვარდია შეუძლიან გამოიწვიოს თვით მთავარმა შტაბმა.

28. საერთო მობილიზაციაში ან საყარაულო სამსახურში გამოწვეული გვარდიელები ღებულობენ დღიურ ჯილდოს შემდეგის წესით: ა) მუშები და მოსამსახურენი დაწესებულებებსა და სამრეწველოებში იმდენს რამდენიც ეძლევათ ჯამაგირი; ბ) უმუშევრები, სოფლის მეურნენი და წვრილი ხელოსნები მთავარ შტაბის მიერ დაწესებულ ჯამაგირს.

29. იმ შემთხვევაში, როცა მთავრობის მიერ გამოცხადებულია მობილიზაცია განსაზღვრულ წლების სათადარიგო ჯარის-კაცებისა, გაწვეული გვარდიელები ამავე წლებისა იღებენ ჯილდოს თანასწორად ჯარში მსახურ თანაწლოვანთა და არავითარი დამატებითი ჯილდო არ ეძლევათ.

30. გვარდიაში გაწვეულ მუშა-მოსამსახურეებს ადგილი შეენახებათ ყოველის მითვისებულ უფლებით, მაგრამ უჯამაგიროდ.

31. შტატის შემოკლების დროს სახალხო გვარდიელები სულ ბოლოს უნდა იქნეს დათხოვნილნი.

32. ყველა გვარდიელი მოვალეა გამოცხადდეს შტაბის პირველ მოთხოვნილებისათანავე იქ, სადაც შტაბი უჩვენებს, მიცემულ იარაღით, მოწყობილობითა და ჩაცმულობით.

33. ყველა სახალხო გვარიელი ჩარიცხულია იმ ბატალიონის სიაში, რომელ ოლქშიც სცხოვრობს.

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

# სახალხო გვარდიის შტატები.

## ნაწილი პირველი:

1. ქვეგანიონების რწმუნებულთა შტატი.
2. საოლქო შტაბების შტატი.
3. პირველ ხარისხის სარაიონო შტაბების შტატი.
4. მეორე ხარისხის სარაიონო შტაბების შტატი.
5. ქ. ტფილისის სარაიონო შტაბის შტატი.
6. სარეზერვო ბატალიონების კადრები.
7. სარეზერვო ბატალიონების კადრების შტატი.

საქართველოს ეროვნული არქივი

# რწმუნებულთა შტატი

## სახალხო გვარდიის საპროვინციო შტაბებისა.

| ოლქები | რაიონები | რწმუნებულთა რიცხვი | გადამწერთა რიცხვი |
|---|---|---|---|
| ტფილისის | ნაძალადევის<br>ორთაჭალის<br>მანგლისის<br>ბორჩალოს | 1<br>1<br>2<br>1 | 1<br>1<br>2<br>1 |
| გარეკახეთის | გარეკახეთის | 2 | 2 |
| სიღნაღის | სიღნაღის | 3 | 3 |
| თელავის | თელავის | 5 | 5 |
| დუშეთის | ყველა რაიონში. | 5 | 5 |
| გორის | გორის<br>ხაშურის | 4<br>1 | <br>1 |
| ახალციხის | ახალციხის<br>ახალქალაქის | 4<br>1 | 4<br>1 |
| შორაპნის | შორაპნის | 3 | 3 |
| ქუთაისის | ქუთაისის<br>რაჭის<br>სვანეთის | 3<br>1<br>1 | 3<br>1<br>1 |
| სამტრედიის | სამტრედიის<br>ხონის | 3<br>1 | 3<br>1 |
| სენაკის | სენაკის<br>ზუგდიდის | 2<br>3 | 2<br>3 |
| ოზურგეთის | ოზურგეთის | 2 | 2 |
| სოხუმის | სოხუმის | 2 | 2 |
| სულ ყველა ოლქსა და რაიონში . . | | 51 | 51 |

**შენიშვნა:** თვიური ჯამაგირი რწმუნებულს . . . 1700 მან. და ულუფა
" " მის გადამწერს . . . 1050 " " "

1919 წ. დეკემბრის 19-ს
საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი [signature]
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე [signature]

# საოლქო შტაბის შტატი.

გორისა, სიღნაღისა, თელავისა, დუშეთისა, ახალციხისა, შორაპნისა,
ქუთაისისა, სამტრედიისა, ახალსენაკისა, სოხუმისა, ოზურგეთისა, გარეკახეთისა

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| შტაბის წევრი | 5 | 2800 | ულუფა |
| მედიცინის ექიმი | 1 | 3750 | " |
| საქმის მწარმოებელი | 2 | 1700 | " |
| მებინე | 1 | 1700 | " |
| მემანქანე | 1 | 1100 | " |
| გადამწერი | 2 | 1050 | " |
| თოფ-იარაღის ხელოსანი | 1 | 1250 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| უფროსი მედიცინის ფერშალი | 1 | 1250 | " |
| …კუჭნავე | 1 | 1000 | " |
| …ხაჯი და მზარეული | 2 | 750 | " |
| …რგულე | 4 | 750 | " |
| სულ | 21 | | |

**ყოველ შტაბთან თვითეულ გუნდზე არის:**
ეტლი . . . . 1
სამზარეულო . . . 1
ორ-ცხენა საზიდავი . 1
ორთვალა . . . 2
ცხენი . . . . 4

**შტაბის საბარგულოს გარდა ყოველ 3 გუნდიან ბატალიონის კადრზედ:**
ორ-ცხენა საზიდავი . 2
ორთვალა . . . . 10
ცხენი . . . . 6

**ქუთაისის შტაბში იმერეთის 1-ლ ბატალიონის კადრისთვის:**
ორ-ცხენა საზიდავი . 3
ორთვალა . . . 13
ცხენი . . . . 20

**შენიშვნა:**
1. გორისა და ქუთაისის საოლქო შტაბებში ექვს-ექვსი წევრია:
2. ქუთაისის საოლქო შტაბში ექვსი მებარგულეა.
3. საქმის მწარმოებელთაგან — ერთი სამნეო ნაწილისაა.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი [signature]
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე [signature]

საქართველოს ეროვნული არქივი

## სარაიონო შტაბების შტატი.

თიანეთისა
ბორჩალოსი
რაჭისა
ხაშურისა
ბორჯომისა
ფოთისა
ზუგდიდისა
ჭიათურისა

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| შტაბის წევრი . . . . . . . | 4 | 2500 | უ ლ უ ფ ა |
| საქმის მწარმოებელი . . . . . | 1 | 1400 | „ |
| მემანქანე ან უფ. გადამწერი . . . | 1 | 1100 | „ |
| გადამწერი . . . . . . . . | 1 | 1050 | „ |
| მედიცინის ფერშალი . . . . . | 1 | 1000 | სრული კმაყოფით და ჩაცმა დახურვით |
| დარაჯი . . . . . . . . | 1 | 750 | „ |
| მებარგულე . . . . . . . | 2 | 750 | „ |
| მზარეული . . . . . . . . | 1 | 750 | „ |
| ს უ ლ. . . . . . . | 12 | | |

**შტაბს ეკუთვნის:** სამზარეულო . . . . . 1
ორ-ცხენა საზიდავი. . . . 1
ორთვალა . . . . . . 2
ცხენი . . . . . . . 4

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



## სარაიონო შტაბების შტატი.

მარტყოფისა — ლეჩხუმისა
მანგლისისა — ლანჩხუთისა
ძველი გავაზისა — ჩოხატაურისა
ერეთისა — ხონისა
ყაზბეგისა — აბაშისა
ქვემო ჭალისა — გუდაუთისა
ახალქალაქისა — სამურძაყანოსი
ცხინვალისა — ბანძისა
ჭრებალოსი — წელენჯიხისა

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| შტაბის წევრი . . . . . . . | 3 | 2100 | უ ლ უ ფ ა |
| საქმისმწარმოებელი . . . . . | 1 | 1250 | „ |
| გადამწერი . . . . . . . . | 1 | 1050 | „ |
| მედიცინის ფერშალი. . . . . . | 1 | 1000 | სრული კმაყოფით და ჩაცმა დახურვით |
| დარაჯი . . . . . . . . | 1 | 750 | „ |
| მებარგულე . . . . . . . | 2 | 750 | „ |
| ს უ ლ . . . . . . | 9 | — | — |

**შტაბს ეკუთვნის:** სამზარეულო . . . . . . . 1
ორ-ცხენა საზიდავი. . . . . . 1
ორთვალა . . . . . . . 1
ცხენი . . . . . . . . . 3

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

## ქ. ტფილისის სარაიონო შტაბის შტატი.

ნაძალადევისა
ერთობის უბნისა
ხადგურისა
რკინის გზისა
ვერისა
ორთაჭალისა
ავლაბრისა
ნავთლუღ-კახეთისა
ნავთლუღისა

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| შტაბის წევრი . . . . . . . | 3 | 2800 | ულუფა |
| საქმის მწარმოებელი . . . . . . | 1 | 1550 | „ |
| მემანქანე ან გადამწერი . . . . | 1 | 1250 | „ |
| მეკუჭნავე . . . . . . . . . | 1 | 1000 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| დარაჯი . . . . . . . . . | 1 | 750 | „ |
| მებარგულე . . . . . . . . | 3 | 750 | „ |
| მზარეული . . . . . . . . | 1 | 750 | „ |

**შენიშვნა:** ნაძალადევისა და ორთაჭალის შტაბებში—4 წევრია.

ნაძალადევის შტაბში 2 გადამწერი და 4 მებარგულეა.

**შტაბს თვითეულ გუნდზე ეძლევა** ორ-ცხენა საზიდავი . 1
ორთვალა . . . . 2
სამზარეულო . . . 1
ცხენი . . . . . 6, ნაძალადევისაში—8:

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი [signature]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე [signature]

## სახალხო გვარდიის სარეზერვო ბატალიონების კადრები.

| ოლქები | რაიონები | ბატალიონების სახელწოდება | ოფიცრები: ბატ. უფ. | გუნდ. უფ. | უფრ. ოფ. | უმცრ. ოფ. | სულ | ჯარის-კაცნი: ნაცეუ-ლი | ჯ.-კაცნი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისისა | ნაძალადევ-ერთობის უბანი | 1-ლი ტფილისის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | — | — | — |
| „ | სადგურ-რკინის გზის და ვერის | მე-2 ტფილისის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | — | — | — |
| „ | სართიჭალის, ავლაბრის, ნავთლუღის | მე-3 ტფილისის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | — | — | — |
| „ | ბორჩალოს, მანგლისის | მე-4 ტფილისის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| გარეკახეთისა | სავარეჯოს, მარტყოფის | გარეკახეთის | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 42 | 50 |
| თელავისა | თელავის, ალაზნის გაღმა, თიანეთის | 1-ლი კახეთის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| სიღნაღისა | სიღნაღის, ერეთის, გურჯაანის | მე-2 კახეთის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| დუშეთისა | დუშეთის, ყაზბეგის | დუშეთის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 62 | 70 |
| გორისა | გორის, ცხინვალის, ქვემოჭალის | 1-ლი ქართლის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 62 | 70 |
| „ | ხაშურის, ბორჩალოს | მე-2 ქართლის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| ახალციხისა | ახალციხის, ახალქალაქის | ახალციხის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| ქუთაისისა | ქუთაისის, რაჭის, ჭრებალოს, ლეჩხ. | 1-ლი იმერეთის ბატ. | 1 | 4 | 3 | 5 | 13 | 18 | 132 | 150 |
| სამტრედიისა | სამტრედიის, ხონის | მე-2 იმერეთის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| შორაპნისა | შორაპნის, ჭიათურის | მე-3 იმერეთის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 42 | 50 |
| სენაკისა | სენაკის, აბაშის, ბანძა-თოთის | 1-ლი სამეგრ. ბატ. | 1 | 4 | 3 | 5 | 13 | 10 | 60 | 70 |
| „ | ზუგდიდის, წალენჯიხის | მე-2 სამეგრ. ბატ. | 1 | 2 | 3 | 3 | 9 | 6 | 44 | 50 |
| სოხუმისა | სოხუმის, გუდაუთის, სამურძაყანოს | სოხუმის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 52 | 60 |
| ოზურგეთისა | ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურ. | გურიის ბატ. | 1 | 3 | 3 | 4 | 11 | 8 | 62 | 70 |
| სულ თვრამეტი ბატალიონი . . . . . . . | | | 18 | 55 | 54 | 73 | 200 | 130 | 870 | 1000 |

**შენიშვნა:** სარეზერვო კადრებში სამხედრო მსახურთ ჯამაგირი და კმაყოფა ეძლევათ ისე, როგორც მუდმივ ნაწილებში.

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი [signature]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე [signature]

## სახალხო გვარდიის სარეზერვო ბატალიონების კადრების შტატები

### ა. 1-ლ იმერეთის ბატალიონის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურ-თა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| ბატალიონის უფროსი . . . . . | 1 | 3300 | |
| გუნდის უფრ. . . . . . . | 4 | 2700 | |
| უფროსი ოფიცერი . . . . . . | 3 | 2250 | |
| უმცროსი ოფიცერი . . . . . . | 5 | 2000 | |
| უფ. ნაცვალი . . . . . . | 8 | 900 | ამათგან ერთი მტელეფონე |
| უმცროსი ნაცვალი . . . . . . | 10 | 800 | |
| ჯ. კაცი . . . . . . . | 132 | 750 | |
| ს უ ლ: ოფიცერი . . . | 13 | | |
| ჯ. კაცი . . . | 150 | | |

### ბ. დანარჩენ ბატალიონების შტატი

| მსახურთა სახელწოდება: | მსახურ-თა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ა |
|---|---|---|---|
| ბატალიონის უფროსი . . . . . | 1 | 3300 | |
| გუნდის უფროსი . . . . . . | 3 | 2700 | |
| უფროსი ოფიცერი . . . . . . | 3 | 2250 | |
| უმცროსი ოფიცერი . . . . . . | 4 | 2000 | |
| უფ. ნაცვალი . . . . . . | 5 | 900 | ამათგან 1 ტყვიისმფრქვევ. 1 მტელ. |
| უმცრ. ნაცვალი . . . . . . | 3 | 800 | |
| ჯ. კაცი . . . . . . . | 42 — 62 | 750 | |
| ს უ ლ: ოფიცერი . . . | 11 | | |
| ჯ. კაცი . . . | 42—70 | | |

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** 1. 1-ლ იმერეთის ბატალიონის კ დრში ქუთაისში შედის **მუდმივად** ნახევარ-გუნდი (ერთი უფროსი ოფიცერი. ორი უმცროსი ოფ., ორი უფ., ნაცვალი და ორი უმცრ. ნაცვალი და 50. ჯ.-კაცი) და ტყვიის მფრქვეველი მცირე გუნდი, შედგარი მაქსიმის ოთხ ტყვიისმფრქვეველისგან (ერთი უფროსი ოფ., ორი უფროსი ნაცვალი, ორიც უმცროსი ნაცვალი და 24 ჯ.-კაცი.

2. ყოველ კადრში თვითეულ გუნდზე მიღებულია: 1 გუნდის უფროსი, ერთი უმცროსი ოფ. 1 უფროსი და 1 უმცრ. ნაცვალი.

3. უფროს ოფიცერთაგან: 1 ტყვიისმფრქვეველის მცირე გუნდის უფროსია, 1 adიუტანტი და 1—შტაბის განკარგულებაში.

4. უმცროს ოფიცერთაგან: 1 კავშირის მცირე გუნდის უფროსია.

5. ყველა ჯ. კაცი სწავლობს ტყვიისმფრქვეველის ხმარებას.

6. 1, 2 და 3 ტფილისის ბატ-ში მუდმივი სახალხო გვარდიელები არ იმყოფებიან.

7. ყველა ბატალიონის ტყვიისმფრქვეველის მცირე გუნდში, 1-ლ იმერეთის ბათალიონს გარდა, არის მაქსიმის ორი ტყვიისმფრქვეველი და 4 კოლტის სისტემისა. ამას გარდა კადრში ყოველ გუნდს ეკუთვნის ორი ტყვიის მფრქვეველი ლიუისისა.

8. მუდმივი ჯ.-კაცნი—გვარდ.—განაწილდებიან გუნდებსა და რაიონებში საოლქო შტაბის განკარგულ.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

# სახალხო გვარდიის შტატები.

## ნაწილი მეორე:

1. შტატი საგანგებო ქვეითა ბატალიონისა.
2. ცხენოსან დივიზიონისა.
3. განსაკუთრებულ ტყვიის მფრქვეველ რაზმის.
4. ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდისა.
5. საინჟინერო გუნდისა.
6. ჯავშნოსან რკინის გზის რაზმისა.
7. არტილერიის ბრიგადის სამართველოსი.
8. მსუბუქ ბატარეისა.
9. სამორტირო ბატარიისა.
10. სამთო ბატარიისა.

საქართველოს ეროვნული არქივი

# სახალხო გვარდიის საგანგებო ქვეითა ბატალიონის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| **შ ტ ა ბ ი:** | | | |
| ბატალიონის უფროსი | 1 | 3750 | ეტლი . . 1 |
| მისი თ ნაშემწე | 2 | 3300 | ორ-ცხენა . . 1 |
| ადიუტანტი | 1 | 2700 | სამზარეულო . . 1 |
| მებინე | 1 | 2250 | ორთვალა . . 4 |
| მედიცინის უფროსი ექიმი | 1 | 3750 | საჯდომი ცხენი . . 2 |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 2250 | საბარგო ცხენი . . 6 |
| მოლარე | 1 | 2250 | |
| თოფ-იარაღის ტექნიკოსი | 1 | 2250 | |
| **ჯ ა რ.-კ ა ც ნ ი:** | | | |
| უფროსი ფერშალი (მედ. აფთ. ბეით.) | 3 | 1250 | |
| გუნდის ფერშლები | 4 | 1000 | |
| სანიტარები | 4 | 750 | |
| ბატალიონის მეკუჭნავე | 3 | 1000 | |
| უფროსი ხელოსანი | 4 | 1250 | |
| უმცროსი ხელოსანი | 4 | 1000 | |
| უფროსი გადამწერი | 2 | 1000 | |
| უმცროსი გადამწერი | 4 | 900 | |
| უფროსი მებარგულე | 1 | 900 | |
| მებარგულე და მზარეული | 6 | 750 | |
| **გ უ ნ დ ი:** | | | |
| გუნდის უფროსი | 1 | 2700 | ორ-ცხენა საზიდავი . 1 |
| უფროსი ოფიცერი | 1 | 2250 | სამზარეულო . . 1 |
| უმცროსი ოფიცერი | 3 | 2000 | ორთვალა . . 2 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | ლუისისტყვ. მფრქ. . 4 |
| უფროსი ნაცვალი | 4 | 900 | საბარგო ცხენი . . 3 |
| უმცროსი ნაცვალი | 8 | 800 | |
| ჯარ.-კაცი | 120 | 750 | |
| მეკუჭნავე | 1 | 900 | |
| გადამწერი | 1 | 900 | |
| მზარეული და მებარგეულე | 4 | 750 | |
| **ტყვიისმფრქვეველთა მცირე გუნდი:** | | | |
| მც. გუნდის უფროსი | 1 | 2700 | მაქსიმის ტყვიისმფ. . 4 |
| უფროსი ოფიცერი | 1 | 2250 | ორ-ცხენა საზიდავი . 1 |
| უმცროსი ოფიცერი | 1 | 2000 | ორთვალა . . 2 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | ცხენი . . 23 |
| უფროსი ნაცვალი | 2 | 900 | |
| უმცროსი ნაცვალი | 4 | 800 | |
| ჯარ. კაცი | 32 | 750 | |
| მეკუჭნავე | 1 | 900 | |
| მებარგულე | 2 | 750 | |
| **საკავშირო მცირე გუნდი:** | | | |
| მც. გუნდის უფროსი | 1 | 2250 | ორთვალა . . 1 |
| უფროსი ნაცვალი | 1 | 900 | საჯდომი ცხენი . 6 |
| უმცროსი ნაცვალი | 1 | 800 | საბარგო ცხენი . 1 |
| ჯარ-კაცნი: ცხენოსანი მხლებელი | 4 | 750 | |
| ტელეფონისტი | 10 | 750 | |

**სულ ბათალიონში:** სამი გუნდი და ორი მცირე გუნდია,
ოფიცერი და ხარისხოსანი 28. ჯარის-კაცი 510, ცხენი 47.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდ. უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

# სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საჯდომი ცხენი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|---|
| **შ ტ ა ბ ი:** | | | | |
| დივიზიონის უფროსი | - | 3750 | 1 | ეტლი . . . 1 |
| მისი თანაშემწე | 2 | 3300 | 2 | ორ ცხენა საზიდავი . . 1 |
| ადიუტანტი | 1 | 2700 | 1 | სამზარეულო . . 1 |
| მებინე უფროსი ოფიცერი | 1 | 2250 | 1 | საავადმყოფო ეტლი . . 1 |
| მედიცინის და ბეითალის ექიმები | 2 | 3750 | — | ორთვალა . . 2 |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 2250 | — | საჯდომი ცხენი . 23 |
| ხაზინადარი (მოლარე) | 1 | 2250 | — | საბარგო ცხენი . . 9 |
| თოფ-იარაღის ტექნიკოსი | 1 | 2250 | — | |
| კაპელმეისტერი | 1 | 2000 | — | |
| **ჯ ა რ.-კ ა ც ნ ი:** | | | | |
| დივიზიონის მებუკე | 1 | 1000 | 1 | |
| უფროსი მებუკე | 6 | 900 | 6 | |
| მებუკე | 20 | 750 | 8 | |
| მედიცინის და საბეითლო უფრ. ფერშლები | 2 | 1250 | 1 | |
| ხელოსანი უფროსი ხარისხისა | 6 | 1250 | — | |
| დივიზიონის მეკუჭნავე | 2 | 1000 | — | |
| უფროსი გადამწერი | 2 | 1000 | 1 | |
| უმცროსი გადამწერი | 4 | 900 | — | |
| უფროსი მებარგულე და მესაკვებე | 2 | 900 | 1 | |
| მებარგულე და მზარეული | 6 | 750 | -- | |
| **ა ს ე უ ლ ი:** | | | | |
| ასეულის უფროსი | 1 | 2700 | 1 | ორ ცხენა საზიდავი . . 3 |
| უფროსი ოფიცერი | 1 | 2250 | 1 | სამზარეულო . . . 1 |
| უმცროსი ოფიცერი | 3 | 2000 | 3 | ტყვიისმფ. ლუისისა . . 4 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | 1 | საჯდომი ცხენი . . 145 |
| უფროსი ნაცვალი | 5 | 900 | 4 | საბარგო ცხენი . . 6 |
| უმცროსი ნაცვალი და მესაკვებე | 12 | 800 | 13 | |
| ცხენოსანი | 120 | 750 | 120 | |
| უმცროსი საბეითლო და მედიცინის ფერშალი | 2 | 1000 | — | |
| მჭედელი | 2 | 1250 | 2 | |
| მეკუჭნავე | 1 | 900 | — | |
| გადამწერი | 1 | 900 | — | |
| მებარგულე და მზარეული | 5 | 750 | — | |
| **ტყვიისმფრქვეველი მცირე გუნდი:** | | | | |
| მც. გუნდის უფროსი | 1 | 2700 | 1 | ტყვიისმფ. მაქს. . . 4 |
| უფროსი ოფიცერი | 1 | 2250 | 1 | ორ-ცხენა საზიდავი . 1 |
| უმცროსი ოფიცერი | 1 | 2000 | 1 | სამზარეულო . . . 1 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | 1 | ორთვალა . . . . 4 |
| უფროსი ნაცვალი | 2 | 900 | 2 | საჯდომი ცხენ. . . 35 |
| უმცროსი ნაცვალი და მესაკვებე | 5 | 800 | 5 | შესაბმელი ცხენ. . . 24 |
| ცხენოსანი | 32 | 750 | 24 | |
| მჭედელი | 1 | 1250 | -- | |
| მეკუჭნავე | 1 | 900 | — | |
| მზარეული და მებარგულე | 6 | 750 | — | |
| **მესანგრე მც. გუნდი:** | | | | |
| მც. გუნდის უფროსი | 1 | 2250 | 1 | ორთვალა . . . 2 |
| უმცროსი ოფიცერი | 1 | 2000 | 1 | ცხენი . . . . . 25 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | 1 | |
| უმცროსი ნაცვალი | 2 | 800 | 2 | |
| ცხენოსანი | 18 | 750 | 16 | |
| **ცხენოსან არტილერიის მწყობრი:** | | | | |
| მწყობრის უფროსი | 1 | 2250 | 1 | ზარბაზანი გოჩკისა . . 2 |
| უფროსი ნაცვალი | 1 | 900 | 1 | საჯდომი ცხენ. . 10 |
| უმცროსი ნაცვალი | 2 | 800 | 2 | არტილ. ცხენი . . . 4 |
| ცხენოსანი | 8 | 750 | 6 | |

**ს უ ლ დ ი ვ ი ზ ი ო ნ შ ი:** ორი ასეული, ორი მცირე გუნდი, ერთი არტილერიის მწყობრი.
ოფიც. და მოხელე 27, ჯარ.-კაცნი 429, ცხენები 432.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის საგანგებო ტყვიისმფრქვეველ. რაზმის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საზიდავი | ცხენები |
|---|---|---|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 | 3750 | — | 1 |
| მისი თანაშემწე | 1 | 2700 | — | 1 |
| უფროსი ოფიცერი | 3 | 2250 | — | 3 |
| უმცროსი ოფიცერი | 3 | 2000 | — | 3 |
| თოფ-იარაღის ტეხნიკოსი | 1 | 2250 | — | — |
| საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | — | — |
| **ჯ ა რ ი ს  კ ა ც ნ ი:** | | | | |
| ზემდეგი | 1 | 1000 | — | — |
| უფრ. ნაცვალი | 8 | 900 | — | — |
| უმცრ. ნაცვალი | 8 | 800 | — | — |
| ნომრები ჯ. კაცნი | 80 | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 32 | 750 | — | — |
| მეკუჭნავე | 2 | 900 | — | — |
| მესაკვებე | 1 | 900 | — | — |
| მედიცინის და საბეითლო ფერშალი | 2 | 1250 | — | — |
| უფროსი გადამწერი | 1 | 1000 | — | — |
| უმცროსი გადამწერი | 1 | 900 | — | — |
| ხელოსნები მჭედელი | 1 | 1250 | — | — |
| „ ზეინკალი | 1 | 1250 | — | — |
| „ სარაჯი | 1 | 1250 | — | — |
| უფროსი მებარგულე | 1 | 900 | — | — |
| მებარგულე | 4 | 750 | — | — |
| მესანოვაგე და მზარეული | 3 | 750 | — | — |
| მარქაფა ცხენი | | | | 8 |
| ტყვიისმფრქვეველი მაქსიმისა | | | 16 | 64 |
| ტყვიისმფრქვეველი ლუისისა | | | 4 | — |
| ორ-ცხენა საზიდავი | | | 3 | 6 |
| ორთვალა | | | 3 | 3 |
| სამზარეულო | | | 1 | 1 |

**სულ რაზმშია:** ოფიცერი და მოხელე 10; ჯ.-კაცი 147; ცხენი 90.

1919 წ. დეკემბრის 19-ს,

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე

## სახალხო გვარდიის ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი |
|---|---|---|
| გუნდის უფროსი | 1 | 3300 |
| მისი თანაშემწე | 1 | 2700 |
| მწყობრის უფროსი | 3 | 2700 |
| უფროსი ოფიცრები | 4 | 2250 |
| არტილერიის ტეხნიკოსი | 1 | 2700 |
| საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 |
| **ჯარის კაცნი:** | | |
| ზემდეგი | 1 | 1000 |
| უფრ. ნაცვალი | 6 | 900 |
| მეტყვიის მფრქვეველი და არტილ. | 30 | 750 |
| მოტოციკლისტი | 10 | 750 |
| შოფერი ჯავშნიან აეტომობილისა | 8 | 1500 |
| მონტიორი | 1 | 1650 |
| შოფერი | 4 | 1400 |
| შოფერის თანაშემწე | 4 | 1000 |
| ზეინკალი და მერესორე | 3 | 1400 |
| დურგალი | 1 | 1250 |
| მედიც. უფრ. ფერშალი | 1 | 1250 |
| უფროსი მწერალი | 1 | 1000 |
| უმცროსი მწერალი | 2 | 900 |
| მეკუჭნავე და მესაწყობე | 3 | 1000 |
| მზარეული | 2 | 750 |
| დარაჯი | 1 | 750 |

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

**გუნდი შესდგება:**

ორ ჯავშნიან ავტო-მწყობრისაგან.
ერთ მოტოც. ტყვის მფრქვ. მწყობ.
გარაჟისაგან და შემკეთ. სახელოს.

**ყოველ ავტო-მწყობრში:**

ორი ჯავშნოსანი.
ერთი ბარგმატარები.
ორი მოტოციკლეტი.

**მოტოც. ტყვიის მფრქვ. მწყობრში:**

ოთხი საბრძოლ-ეტლი.
ერთი ოფიც. მოტოც.
ერთი სამზვერათ მოტოც.

**გუნდის შტაბში:**

ერთი ნახევარ ბარგმტარები.
ერთი ავტო-სახელოსნო.
ორი მოტოციკლეტი.

**სულ გუნდშია:**

ოთხი ჯავშნოსანი.
სამი ბარგმტარი და ნახევ. ბარგმტ.
თორმეტი მოტოციკლეტი.

**სულ გუნდშია:** ოფიცერი და მოხელე — 11; ჯ.-კაცნი — 78.

1919 წ. დეკემბრის 19.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის საინჟინრო გუნდის შტატი

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| გუნდის უფროსი . . . . | 1 | 3300 | ორ-ცხენა საზიდავი . . . 1. |
| მისი თანაშემწე (სამწყობრო და სამნეო ნაწილში) . . . . | 2 | 2700 | სამზარეულო . . . . 1. |
| | | | ორთვალა . . . . 3. |
| უფროსი ოფიცერი . . . . | 3 | 2250 | ცხენი . . . . . 6. |
| საქმისმწარმოებელი . . . . | 1 | 2000 | |
| **ჯარის-კაცნი:** | | | |
| ზემდეგი . . . . . . . | 1 | 1000 | |
| უფრ. ნაცვალი . . . . . | 3 | 900 | |
| უმც. ნაცვალი . . . . . . | 6 | 800 | |
| ჯარის-კაცი . . . . . . | 50 | 750 | |
| მეკუჭნავე . . . . . . . | 2 | 900 | |
| გადამწერი . . . . . . . | 2 | 900 | |
| მზარეული . . . . . . . | 2 | 750 | |
| დარაჯი . . . . . . . . | 1 | 750 | |
| მებარგულე . . . . . . . | 3 | 750 | |

**სულ გუნდში:** ოფიცერი და მოხელე 7., ჯ.-კაცი 70, ცხენ. 6.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნ. კრების თავმჯდ. უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

## სახალხო გვარდიის ჯავშნიანი რკინისგზის რაზმის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| **რაზმის შტაბი:** | | | **სულ რაზმში:** |
| რაზმის უფროსი . . . . . | 1 | 3750 | ჯავშნიანი მატარებელი . . 2 |
| მისი თანაშემ. სამნეო ნაწილ. გამგე | 1 | 2700 | ოფიც. და მოხელე . . . 12 |
| ადიუტანტი . . . . . | 1 | 2250 | მუდ. გვარი . . . . . 102 |
| არტილერიის ტექნიკოსი . . . | 1 | 2700 | |
| ტელეგრაფ. ტექნიკოსი . . . | 1 | 2250 | **ყოველ მატარებელშია:** |
| საქმის მწარმოებელი . . . | 1 | 2000 | |
| უფროსი გადამწერი . . . | 1 | 1000 | სამთო ზარბაზანი . . . 2 |
| უმცროსი გადამწერი . . . | 1 | 900 | ტყვიის მფრქველი . . . 10 |
| მეკუჭნავე . . . . . . | 1 | 1000 | |
| მარბიელი . . . . . . | 1 | 750 | |
| **ჯავშნიანი მატარებელი:** | | | |
| მატარებლის უფროსი . . | 1 | 2700 | |
| უმცროსი ოფიცერი . . . | 2 | 2000 | |
| ზემდეგი . . . . . . . | 1 | 1000 | |
| უფრ. ნაცვალი არტილერისტი . | 2 | 900 | |
| " " მეტყვიისმფრქვევ. | 2 | 900 | |
| " " ტელეგრაფისტი . | 1 | 900 | |
| უმცრ. ნაცვ. არტილ. დამმიზნებ. | 4 | 800 | |
| " " მეტყვიისმფრქვევლე | 8 | 800 | |
| ჯ.-კაცი მეტყვიისმფრქვევლე . | 10 | 750 | |
| " მსროლელი . . . | 16 | 750 | |
| უმწყობრონი: ზეინკალი . . . | 1 | 1250 | |
| " ფერშალი . . . | 1 | 1000 | |
| " მწერალი . . | 1 | 900 | |
| " მზარეული . . | 2 | 750 | |
| **ამას გარდა:** | | | |
| მატარებლის მსახური . . . . | 14 | — | ჯამაგირს რკინის გზიდან იღებენ. |

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომ. უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის არტილ. ბრიგად. სამართ. და პარკის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საზიდავი | ცხენი |
|---|---|---|---|---|
| **ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო:** | | | | |
| ბრიგადის უფროსი | 1 | 4050 | — | 1 |
| მისი თანაშემწე | 1 | 3750 | — | 1 |
| დივიზიონების უფროსი | 2 | 3750 | — | 2 |
| ნაცვალთა სკოლის უფროსი | 1 | 3300 | — | 1 |
| ბრიგადის ადიუტანტი | 1 | 2700 | — | 1 |
| დივიზიონის ადიუტანტი | 2 | 2250 | — | 2 |
| მედიც. უფრ. ექიმი | 1 | 3750 | — | — |
| უფროსი ბეითალი | 1 | 3750 | — | — |
| უმცრ. ბეითალი | 1 | 3300 | — | — |
| საქმის მწარმოებელი | 1 | 2250 | — | — |
| არტილერიის ტეხნიკოსი. | 2 | 2700 | — | 1 |
| მოლარე | 1 | 2250 | — | — |
| **ჯ.-კ ა ც ნ ი:** | | | | |
| ზემდეგი | 1 | 1000 | — | 1 |
| უმც. ნაცვალი | 2 | 800 | — | 2 |
| ჯარის-კაცნი: მზვერავი | 10 | 750 | — | 10 |
| ტელეფონისტი | 10 | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 2 | 750 | — | — |
| უმწყობრონი: მეკუჭნავე | 2 | 1000 | — | — |
| მესაკვებე | 1 | 900 | — | 1 |
| უფრ. ხელოსანი | 6 | 1250 | — | — |
| უმცრ. ხელოსანი | 3 | 1000 | — | — |
| უფრ. გადამწერი | 2 | 1000 | — | — |
| უმცრ. გადამწერი | 6 | 900 | — | — |
| მედიც. უფრ. ფერშალი | 1 | 1250 | — | — |
| უფროსი საბეითალო ფერშალი | 2 | 1250 | — | — |
| მებარგულე და მზარეული | 8 | 750 | — | — |
| **პ ა რ კ ი:** | | | | |
| პარკის უფროსი | 1 | 2700 | — | 1 |
| უმცროსი ოფიცერი | 1 | 2000 | — | 1 |
| უფრ. ნაცვალი | 1 | 900 | — | — |
| უმც. ნაცვალი | 1 | 800 | — | — |
| ნომრები | 6 | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 6 | 750 | — | — |
| მებარგულე | 2 | 750 | — | — |
| პარკშია: სამუხტე ყუთ. | — | — | 12 | 12 |
| სავაზნე ორთვალები | — | — | 12 | 2 |
| სამართველოში: ეტლი | — | — | 1 | 2 |
| ორ-ცხენა საზიდ. | — | — | 2 | 2 |
| საავადმყოფოს ეტლი. | — | — | 1 | 2 |
| აფთიაქის ორთვალა | — | — | 1 | 1 |
| ტელეფ. ორთვალა | — | — | 2 | 2 |
| სამზარეულო | — | — | 1 | 1 |

**სულ სამართველოში და პარკში:** ოფიც. და მოხ. 17, ჯ.-კაცი 72, ცხენი 49.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდ. უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

## სახალხო გვარდიის მსუბუქ ბატარეის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საზიდავი | ცხენი |
|---|---|---|---|---|
| ბატარეის უფროსი | 1 | 3300 | — | 1 |
| უფროსი ოფიცერი | 2 | 2700 | — | 2 |
| უმცროსი ოფიცერი | 2 | 2000 | — | 2 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | — | 1 |
| უფროსი ნაცვალი | 2 | 900 | — | 2 |
| უმც. ნაცვალი | 5 | 800 | — | 5 |
| ჯარის-კაცი: მზვერავი | 5 | 750 | — | 5 |
| ტელეფონისტი | 5 | 750 | — | — |
| ნომრები | 2 ł | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 18 | 750 | — | — |
| სათადარიგო | 6 | 750 | — | 6 |
| უმწყობრონი: მეკუჭნავე | 1 | 900 | — | — |
| მესაკვებე | 1 | 900 | — | 1 |
| ხელოსანი | 6 | 1250 | — | — |
| უმც. ფერშალი | 2 | 1000 | — | — |
| გადამწერი | 2 | 900 | — | — |
| მზარეული და მესანოვაგე | 3 | 750 | — | — |
| მებარგულე | 6 | 750 | — | — |
| მსუბუქი ზარბაზანი | — | — | 4 | 24 |
| სამუხტო ყუთები | — | — | 2 | 12 |
| ორ-ცხენა საზიდავი | — | — | 3 | 6 |
| სამზარეულო | — | — | 1 | 2 |
| ორთვალა | — | — | 3 | 3 |

**სულ ბატარიაშია:** ოფიცერი 5, ჯ.-კაცი 87, ცხენი 72.

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქარ. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის სამორტირო ბატარეის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საზიდავი | ცხენები |
|---|---|---|---|---|
| ბატარეის უფროსი | 1 | 3300 | — | 1 |
| უფროსი ოფიცერი | 2 | 2700 | — | 2 |
| უმცროსი ოფიცერი | 2 | 2000 | — | 2 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | — | 1 |
| უფ. ნაცვალი | 2 | 900 | — | 2 |
| უმ. ნაცვალი | 5 | 800 | — | 5 |
| ჯარისკაცი: მზვერავი | 5 | 750 | — | 5 |
| ტელეფონისტი | 5 | 750 | — | — |
| ნომრები | 24 | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 24 | 750 | — | — |
| სათადარიგო | 8 | 750 | — | 12 |
| უმწყობრონი: მეკუჭნავე | 1 | 900 | — | — |
| მესაკვებე | 1 | 900 | — | 1 |
| გადამწერი | 2 | 900 | — | — |
| ხელოსანი | 6 | 1250 | — | — |
| ფერშალი | 2 | 1000 | — | — |
| მზარეული და მესანოვაგე | 3 | 750 | — | — |
| მებარგულე | 6 | 750 | — | — |
| საველე გაუბიცი | — | — | 4 | 24 |
| სამუხტე ყუთი | — | — | 4 | 24 |
| ორ-ცხენა საზიდავი | — | — | 3 | 6 |
| სამზარეულო | — | — | 1 | 2 |
| ორთვალა | — | — | 3 | 3 |

**სულ ბატარიაშია:** ოფიცერი 5, ჯ. კაცი 95, ცხენი 90.

1919 წ. დეკემბრის 19-ს,

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

## სახალხო გვარდიის სამთო ბატარეის შტატი.

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | საზიდავი | ცხენი |
|---|---|---|---|---|
| ბატარეის უფროსი | 1 | 3300 | — | 1 |
| უფროსი ოფიცერი | 2 | 2700 | — | 2 |
| უმცროსი ოფიცერი | 2 | 2000 | — | 2 |
| ზემდეგი | 1 | 1000 | — | 1 |
| უფროსი ნაცვალი | 2 | 900 | — | 2 |
| უმცროსი ნაცვალი | 5 | 800 | — | 5 |
| ჯარისკაცი: მზვერავი | 5 | 750 | — | 5 |
| ტელეფონისტი | 5 | 750 | — | — |
| ნომრები | 32 | 750 | — | — |
| ცხენოსანი | 18 | 750 | — | — |
| ცხენ მძღოლი | 16 | 750 | — | 16 |
| სათადარიგო | 8 | 750 | — | 10 |
| უმწყობრონი: მეკუჭნავე | 1 | 900 | — | — |
| მესაკვებე | 1 | 900 | — | 1 |
| ხელოსანი | 6 | 1250 | — | — |
| უმც. ფერშალი | 2 | 1000 | — | — |
| გადამწერი | 2 | 900 | — | — |
| მზარეული | 2 | 750 | — | — |
| მესანოვაგე | 1 | 750 | — | — |
| მებარგულე | 8 | 750 | — | — |
| სამთო ზარბაზანი | — | — | 4 | 24 |
| სამუხტე ყუთი | — | — | 2 | 12 |
| ორ-ცხენა საზიდავი | — | — | 3 | 6 |
| სამზარეულო | — | — | 1 | 2 |
| ორთვალა | — | — | 5 | 5 |

**სულ ბატარეაშია:** ოფიცერი 5, ჯ.-კაცი 115, ცხენები 94.

**სულ ბრიგადაში:** ორი მსუბუქი, ერთი სამორტირო და ორი სამთო ბატარეა. ოფიც. და მოხელე—42, ჯარ.-კაცი 571, ცხენი 471.

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

# სახალხო გვარდიის შტატები.

## ႬႠႼႨႪႨ ႫႤႱႠႫႤ:

1. შტატი მთავარ შტაბის მთავარ კანცელარიისა.
2. შემდგენელ-მომწყობი განყოფილებისა.
3. მობარაგების განყოფილების და საბინე ქვეგანყოფილებისა.
4. იარაღის განყოფილებისა.
5. ბუხჰალტერიის განყოფილებისა.
6. მედიკო-სანიტარულ განყოფილებისა.
7. სასამართლოს განყოფილებისა.
8. საკავშირო განყოფილებისა.
9. ავტომობილ-ტეხნიკურ განყოფილებისა.
10. საბეითლო-სარემონტო განყოფილება ლაზარეთით.
11. სახალხო გვარდიის ლაზარეთისა.

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შტატები.

### 1. მთავარი კანცელარია.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | ჯ ა მ ა გ ი რ ი |
|---|---|---|---|
| მთავარ შტაბის წევრნი . . . | 21 | 4500 | ულუფა |
| ოპერატიულ ნაწილის გამგე . . | 1 | 4500 | „ |
| მდივნის თანაშემწე . . . . | 1 | 2800 | „ |
| რწმუნებული მინდობილებათათვ. | 2 | 2500 | „ |
| საქმის მწარმოებელი . . . . | 1 | 2500 | „ |
| საქმის მწარმოებლის თანაშემწე . | 2 | 1550 | „ |
| მებრძანებე . . . . . . | 1 | 1550 | „ |
| უფროსი მემანქანე . . . . | 1 | 1400 | „ |
| უმცროსი მემანქანე . . . . | 2 | 1250 | „ |
| მედავთრე . . . . . . | 2 | 1250 | „ |
| გადამწერი . . . . . | 2 | 1250 | „ |
| გზირი და ტელეფონისტი . . | 8 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა. |
| **ს უ ლ** . . . . | 44 | — | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს,

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შტატები.

### 2. შემდგენელ-მომწყობი განყოფილება.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | 1 | 4500 | ულუფა |
| მისი თანაშემწე . . . . . | 2 | 3750 | „ |
| უფროსი საქმის მწარმოებელი . . | 1 | 2000 | „ |
| უფროსი მემანქანე . . . . | 1 | 1400 | „ |
| უმცროსი მემანქანე . . . . . | 1 | 1250 | „ |
| რეგისტრატორი . . . . . | 1 | 1250 | „ |
| გზირი . . . . . . . . | 1 | 900 | სრული კმაყოფით და ჩაცმა დახურვით. |
| **საინსპექციო სამწყობრო განყოფილება:** | | | |
| ინსპექტორი . . . . . . | 3 | 3750 | ულუფა |
| ობერ ოფიც. მინდობისათ. უფროსი. | 2 | 2700 | „ |
| „ „ „ უმცროსი. | 6 | 2250 | „ |
| საქმისმწარმებლის თანაშემწე . . | 1 | 1550 | „ |
| გადამწერი . . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| **სამობილიზაციო განყოფილება:** | | | |
| საქმის მწარმოებელი . . . . | 1 | 2100 | „ |
| საქმის მწარმებლის თანაშემწე . | 1 | 1550 | „ |
| გადამწერი . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| **პირადი შედგენილობის განყოფილება:** | | | |
| საქმის მწარმოებლის თანაშემწე . | 4 | 1550 | „ |
| გადამწერი . . . . . . . | 2 | 1250 | „ |
| **ს უ ლ** . . . . | 30 | | |

**შენიშვნა:** 1. განყოფილების გამგე ყოველ მხრივ შეეფარდება საარმიო ბრიგადის უფროსს მისი თანაშემწენი და ინსპექტორები ცალკე ერთეულების უფროსებს.

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შტატი.

### 3-ა მომარაგების განყოფილება.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე | — | — | მთავარ შტაბის წევრი |
| მისი თანაშემწე | 2 | 3100 | ულუფა |
| ინტენდანტი | 2 | 2800 | " |
| უმფროსი საქმის მწარმოებელი | 1 | 2100 | " |
| მისი თანაშემწე | 1 | 1550 | " |
| უფროსი მემანქანე | 1 | 1400 | " |
| რეგისტრატორი და გადამწერი | 3 | 1250 | " |
| პირნი მინდობილობათათვის: უფროსი | 2 | 2100 | " |
| " უმცროსი | 4 | 1800 | " |
| კონტროლიორი: უფროსი | 1 | 2800 | " |
| " უმცროსი | 2 | 2100 | " |
| შემსყიდველ განყოფილებ. რწმუნებული | 4 | 2100 | " |
| ექსპედიტორი | 1 | 1800 | " |
| გზირი და დარაჯი | 3 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| **მომარაგების განყოფ. ბუხჰალტერია:** | | | |
| მთავარ ბუხჰალტრის თანაშემწე | 1 | 4000 | ულუფა |
| ბუხჰალტერი | 2 | 2100 | " |
| ბუხჰალტრის თანაშემწე | 2 | 1800 | " |
| მოანგარიშე | 4 | 1550 | " |
| კონტორის მოხელე | 4 | 1400 | " |
| **სახელოსნოები:** | | | |
| ბუხჰალტერი | 1 | 1800 | " |
| მოანგარიშე | 1 | 1550 | " |
| გადამწერი | 1 | 1250 | " |
| წაღებ. და ტანსაცმ. სამკერვალ. გამგე | 2 | 1800 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურავ |
| უფროსი ხელოსანი | 2 | 1800 | " " " " " |
| გამომჭრელი | 20 | 1550 | " " " " " |
| მეჩექმე | 6 | 1400 | " " " " " |
| დერციკი | 5 | 1400 | " " " " " |
| ქარგალი | 19 | 1250 | " " " " " |
| **ნივთის საწყობი:** | | | |
| საწყობის გამგე | 1 | 2100 | სრული კმაყოფა |
| მისი თანაშემწე | 1 | 1550 | " " |
| კონტორის მოხელე | 1 | 1400 | " " |
| მუშა | 8 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| **სანოვაგ-საკვების საწყობი:** | | | |
| საწყობის გამგე | 1 | 2100 | სრული კმაყოფა |
| მისი თსნაშემწე | 2 | 1550 | " " |
| კონტორის მოხელე | 2 | 1400 | " " |
| მუშა | 18 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| **საბარგულე-საჭურვლის საწყობი:** | | | |
| საწყობის გამგე | 1 | 1800 | სრული კმაყოფა |
| მისი თანაშემწე | 1 | 1550 | ,, ,, |
| კონტორის მოხელე | 1 | 1400 | ,, ,, |
| სარაჯი | 2 | 1250 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| მუშა | 5 | 900 | ,, ,, ,, ,, ,, |
| **მომარაგების განყოფილების საბარგულე:** | | | |
| საბარგულის გამგე | 1 | 1550 | ,, ,, ,, ,, ,, |
| უფროსი მებარგულე | 1 | 1250 | ,, ,, ,, ,, ,, |
| მესანოვაგე-მესაკვებე | 1 | 1050 | ,, ,, ,, ,, ,, |
| მჭედელი და დურგალი | 4 | 1250 | ,, ,, ,, ,, ,, |
| მზარეული | 2 | 1:00 | ,, ,, ,, ,, ,, |
| მეეტლე და მეურმე | 52 | 900 | ,, ,, ,, ,, ,, |
| განყოფილებას ეძლევა: ცხენი 60 | | | |
| " " ხარ კამეჩი 30 | | | |
| ს უ ლ | 202 | | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

## სახალხო გვარდიის შტაბის შტატი.

### 3. ბ. მომარაგების განყოფილების საინჟ ქვეგანყოფილება.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე | — | — | მთ. შტ. წევრი. |
| მისი თანაშემწე | 1 | 2800 | ულუფა |
| სახალხო გვარ. ინჟენერი | 1 | 3500 | " |
| ტეხნიკოსი | 2 | 2500 | " |
| საქმის მწარმოებელი | 1 | 1800 | " |
| მესაწყობე | 1 | 1800 | " |
| მოანგარიშე | 1 | 1550 | " |
| გადამწერი-მემანქანე | 1 | 1400 | " |
| არტილ. ყაზარმების მეთვალყურე | 1 | 2100 | " |
| ელისაბ. ქ. ყაზარმების მეთვალყურე. | 1 | 1800 | " |
| მესანგრეთა ყაზარმების მეთვალყურე | 1 | 1800 | " |
| გზირი | 1 | 900 | სრულ კმაყ. და ჩაცმა დახურვა |
| უფროსი მეეზოვე | 3 | 1050 | " |
| მეეზოვე | 18 | 900 | " |
| მეინსტრუმენ'ე | 1 | 1800 | ულუფა დი ჩაცმა დახურვა |
| ზეინკალი და მეწყალსადენე | 2 | 1550 | სრულ კმაყ. და ჩაცმა დახურვა |
| მეთუნუქე | 1 | 1250 | " |
| დურგალი და მეეტლე | 3 | 1250 | " |
| ხელქვეითი | 2 | 1050 | " |
| ზეინკლის თანაშემწე | 2 | 1050 | " |
| კალატოზი | 1 | 1050 | " |
| მეღუმელე | 1 | 1250 | " |
| მჭედელი | 1 | 1400 | " |
| ელექტროტეხნიკოსი | 1 | 1550 | " |
| უფრ. მუშა | 1 | 1050 | " |
| შემაკეთებელი მუშა | 10 | 900 | " |
| **კომენდანტის მმართველობა:** | | | |
| მთავარშტაბის კომენდანტი | 1 | 2700 | ულუფა |
| მის თანაშემწე | 1 | 2250 | " |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 1550 | " |
| გადამწერი | 1 | 1250 | " |
| მესანოვაგე და მზარეული | 2 | 1050 | სრულ კმაყ. და ჩაცმა დახურვა |
| სადარაჯო მეტელეფონე და მუშა | 5 | 900 | " |
| გზირი | 2 | 900 | " |
| ს უ ლ | 72 | — | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

### 4. იარაღის განყოფილება.

| მსახურთა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | — | — | მთავ. შტაბის წევრი |
| მისი თანაშემწე . . . . . | 1 | 2800 | ულუფა |
| საქმის მწარმოებელი . . . . | 1 | 1800 | " |
| რეგისტრატორი და გადამწერი. . | 2 | 1250 | " |
| საარტელ. საწყობის გამგე . . . | 1 | 2100 | სრული კმაყოფა |
| ტყვიისმფრქვეველის საწყობის გამგე. | 1 | 2100 | " |
| იარაღის საწყობის გამგე . . . | 1 | 2100 | " |
| იარაღის ტეხნიკოსი . . . . | 1 | 2250 | ულუფა და ჩაცმა დახურვა |
| მისი თანაშემწე (იარაღ. ოსტ.) . | 1 | 1700 | " |
| გზირიდა დარაჯი . . . . . | 2 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაც. დახ. |
| მუშა მებარგულე . . . . . | 12 | 900 | " |
| ს უ ლ . . . . | 23 | | |

### 5. ბუხჰალტერიის განყოფილება.

| თანამდებობათა სახელწოდება: | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ა |
|---|---|---|---|
| მთავარი ბუხჰალტერი . . . | 1 | 5000 | ულუფა |
| მისი თანაშემწე . . . . | 1 | 4000 | " |
| საქმისმწარმოებელი . . . . | 1 | 1800 | " |
| ბუხჰალტერ-ინსტრუქტორი. . . | 2 | 2500 | " |
| ბუხჰალტერი . . . . . . | 6 | 2100 | " |
| მოლარე . . . . . . | 1 | 2100 | " |
| მოანგარიშე. . . . . . | 6 | 1550 | " |
| კანტორის მოხელე . . . . | 2 | 1400 | " |
| რეგისტრატორი შემანქანე . . . | 1 | 1400 | " |
| დარაჯი-გზირი . . . . . | 1 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაც. დახ. |
| ს უ ლ . . . . . . | 22 | — | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



### 6. მედიკოსანიტარული განყოფილება

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | 1 | 3750 | ულუფა |
| მისი თანაშემწე უფროსი ექიმი. . | 1 | 3750 | " |
| ფარმაცევტი სამედიცინო ქონების გამგე . . . . | 1 | 3100 | " |
| საქმის მწარმოებელი . . . | 1 | 1800 | " |
| სტატისტიკოსი . . . . . | 1 | 1400 | " |
| რეგისტრატორი. . . . . . | 1 | 1250 | " |
| მწერალი შემანქანე . . . . | 2 | 1250 | " |
| ფარმაცევტი (ერთი მათ. ბუჰგ. და მეორე ლაბორ.) . . . . | 2 | 2500 | " |
| უფროსი მედიცინის ფერშალი . | 3 | 1250 | სრული კმაყოფა და ჩაც. დახურ. |
| საამთიაქო მოწაფე . . . . | 1 | 1050 | " |
| სანიტარი . . . . . . . | 9 | 900 | " |
| მებარგულე . . . . . . . | 4 | 900 | " |
| ს უ ლ . . . | 27 | | |

განყოფილებას ეძლევა: ეტლი . . 1.
ორთვალა . 4.
ცხენები . . 6.

### 7. სასამართლო განყოფილება

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | 1 | 3500 | ულუფა |
| მისი თანაშემწე . . . . | 1 | 2800 | " |
| საქმის მწარმოებელი . . . | 1 | 1800 | " |
| შემანქანე . . . . . . . | 1 | 1250 | " |
| ს უ ლ . . . | 4 | | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის შტატი.

### 8. საკავშირო განყოფილება.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | 1 | 3300 | ულუფა |
| მისი თანაშემწე . . . . . | 1 | 2700 | „ |
| საველე სადგურის გამგე . . . | 1 | 2500 | „ |
| საქმის მწარმოებელი . . . . | 1 | 1800 | „ |
| საწყობის გამგე . . . . . | 1 | 1800 | „ |
| ზედამხედველი . . . . . | 7 | 1800 | „ |
| ტელეფონისტი . . . . | 19 | 1250 | „ |
| მემანქანე და მედავთრე . . . | 2 | 1250 | „ |
| ხელოსანი . . . . . . | 2 | 1550 | ულუფა და ჩაცმა დახურვა. |
| მუშა სპეციალისტი . . . . | 2 | 1250 | „ |
| უფროსი მუშა . . . . . | 1 | 1050 | სრული კმაყოფა და ჩაც. დახურ. |
| მებარგულე და დარაჯი . . . | 10 | 900 | „ |
| ს უ ლ . . . | 48 | | |

**განყოფილებას ეძლევა:** ორცხენა საზიდავი . . . . . . 5

ორთვალა . . . . . . . 4

საბარგულე და საჯდომი ცხენი . . . 16

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შტატები.

### 9. საავტომობილო სატეხნიკო განყობილება.

| თანამდებობათა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| განყოფილების გამგე . . . . | — | — | მთავარ შტაბის წევრი |
| გარაჟის გამგე . . . . . | 1 | 2500 | უ ლ უ ფ ა |
| მისი თანაშემწე (მხაზავი) . . . | 1 | 2100 | „ |
| ბუხჰალტერი . . . . . | 1 | 2500 | „ |
| საქმის მწერმოებელი . . . . | 1 | 1550 | „ |
| მოანგარიშე . . . . . . | 3 | 1550 | „ |
| მემანქანე . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| მეტელეფონე . . . . . . | 3 | 900 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| შიკრიკი . . . . . . | 1 | 900 | „ |
| საწყობის გამგე . . . . . | 1 | 2100 | უ ლ უ ფ ა |
| მისი თანაშემწე . . . . . | 1 | 1550 | „ |
| ბრიგადირი . . . . . . | 4 | 2100 | ულუფა ჩაცმა დახურვა |
| 1-ლი კატეგორის-ზეინკალი . . | 2 | 1800 | „ |
| მე-2 კატ. ზეინკალი . . . | 5 | 1550 | „ |
| ხარატი . . . . . . . | 1 | 1800 | „ |
| ხარატი . . . . . . . | 1 | 1700 | „ |
| ფრეიზერი . . . . . . | 1 | 1800 | „ |
| უფროსი მჭედელი . . . . | 1 | 2500 | „ |
| მჭედელი მე-2 კათეგორიისა . . | 1 | 1550 | „ |
| ყროს დამკვრელი . . . . | 2 | 1400 | „ |
| ელექტრო მანტიორი . . . | 1 | 2100 | „ |
| ვულკანიზატორი . . . . | 1 | 1550 | „ |
| მღებავი-მეშპალიერე . . . | 1 | 2100 | „ |
| თვლების ხელოსანი . . . | 1 | 1800 | „ |
| უბეების ხელოსანი . . . . | 1 | 1800 | „ |
| 1-ლ კათ. შოფერი . . . . | 10 | 1800 | „ |
| მე-2 ჯგუფის შოფერი . . . | 15 | 1700 | „ |
| მე-3 ჯგუფის შოფერი . . . | 15 | 1550 | „ |
| 1-ლ კათ. შოფერის თანაშემწე . . | 4 | 1050 | სრული კმაყოფა და ჩაცმა დახურვა |
| მე-2 კათ. შოფერის თანაშემწე . . | 13 | 900 | „ |
| მედიცინის უფროსი ფერშალი . . | 1 | 1250 | „ |
| დარაჯი და მეეზოვე . . . . | 4 | 900 | „ |
| შეგირდი . . . . . . . | 5 | 550 | „ |
| ს უ ლ . . . | 104 | | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს.

საქართველოს დამფუძ. კრების დავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული არქივი

## სახალხო გვარდიის შტაბის შტატი.

### 10. საბეითლო-სარემონტო განყოფილება ლაზარეთით.

| თანამდებობათა სახელწოდება. | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|
| **განყოფილების უფროსი მთავარ შტაბის წევრი.** | | | |
| პუნქტის გამგე . . . . . | 1 | 2500 | ულუფა |
| უფროსი ბეითალი . . . . | 1 | 3750 | „ |
| უმცროსი ბეითალი. . . . | 1 | 3300 | „ |
| საქმისმწარმოებელი. . . . | 1 | 1550 | „ |
| გადამწერი . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| უფროსი ფერშალი (ბეითალი) . . | 1 | 1250 | სრული კმაყოფა და სამოსი |
| უმცროსი „ „ . . | 1 | 1000 | „ |
| უფროსი მეჯინიბე . . . . | 1 | 900 | „ |
| უმცროსი „ . . . . | 10 | 750 | „ |
| მებარგულე . . . . . . | 4 | 750 | „ |
| უფროსი მჭედელი . . . . | 1 | 1250 | „ |
| უმცროსი „ . . . . | 1 | 1000 | „ |
| დურგალი . . . . . . | 1 | 1000 | „ |
| სარაჯი . . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| მზარეული და მუშა . . . | 2 | 750 | „ |
| მეკუჭნავე . . . . . . | 1 | 900 | „ |
| მესაკვებე . . . . . . | 1 | 900 | „ |
| ს უ ლ. . . . | 30 | | |

**განყოფილებას ეკუთვნის:** ცხენი (საბარგული) — 4
ორ-ცხენა ზაზიდავი — 2
ორთვალა . . — 1

1919 წ. დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე

## სახალხო გვარდიის ლაზარეთის შტატი.

(75 საწოლით).

| მსახურთა სახელწოდება | მსახურთა რიცხვი | თვიური ჯამაგირი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| უფროსი ექიმი . . . . . . | 1 | 3750 | ულუფა |
| უმცროსი ექიმი. . . . . . | 2 | 3300 | „ |
| კბილის ექიმი . . . . . . | 1 | 1550 | „ |
| საქმის მწარმოებელი . . . . | 1 | 1550 | „ |
| გადამწერი . . . . . . | 1 | 1250 | „ |
| რენტგენოლოგი . . . . . | 1 | 1050 | „ |
| ფარმაცევტი . . . . . . | 1 | 2100 | „ |
| ფერშალი . . . . . . | 2 | 1250 | სრული კმაყოფა ჩაცმა დახურვა |
| მოწყალების და. . . . . . | 5 | 1050 | „ |
| მნეობის გამგე . . . . . | 1 | 1250 | „ |
| გამგე საწყობ საცვლისა . . . | 2 | 1050 | „ |
| მზარეული . . . . . . | 1 | 1050 | „ |
| მზარეულის თანაშემწე . . . | 2 | 900 | „ |
| უფროსი სანიტარი . . . . | 1 | 1050 | „ |
| სანიტარი . . . . . . . | 15 | 900 | „ |
| მოსარეცხე . . . . . . | 2 | 900 | „ |
| ს უ ლ . . . | 39 | 32,650 | |

1919 წ. დეკემბრის 19-ს,

საქართველოს დამფუძ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე

საქართველოს ეროვნული არქივი